GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

პოლონეთის „აღმოსავლური პოლიტიკა“ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ: საქართველოს მიმართულება

გრიგოლ ჯულუხიძე

193

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გრიგოლ ჯულუხიძე

პოლონეთის „აღმოსავლური პოლიტიკა“ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ: საქართველოს მიმართულება

193

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-5142-1

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი იმ ტრანსფორმაციის ანალიზია, რომელიც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ პოლონეთის „აღმოსავლურმა პოლიტიკამ“ განიცადა. ამ ცვლილებებში მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოსაც უკავია, როგორც ოფიციალური ვარშავის მნიშვნელოვან პარტნიორსა და მოკავშირეს. ამ კონტექსტში კი განსაკუთრებით ყურადსაღები ის მოსაზრებებია, რომლებიც პოლონეთში ჩვენი რეგიონის აწმყოსა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ ვრცელდება.

წარსული და აწმყო

აღმოსავლეთი პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტია. მას „აღმოსავლური პოლიტიკა“ (*Polityka wschodnia*) ეწოდება და ქვეყნის წინაშე არსებულ გლობალურ თუ რეგიონულ გამოწვევებზე რეაგირებს.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019 წლის ხედვის თანახმად, „აღმოსავლური პოლიტიკის“ მიზანი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან (ბელარუსი, უკრაინა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) თანამშრომლობა და ურთიერთობების გაღრმავება იყო. *„პოლონეთის ამოცანაა, რომ ჩვენი აღმოსავლეთ მეზობლები ტკბებოდნენ დამოუკიდებლობით, ცხოვრობდნენ უსაფრთხოდ და ჰქონდეთ სუვერენული უფლება, თავად აირჩიონ მოკავშირეები, განვითარების გზები და პოლიტიკური მოწყობის მოდელები. ის სახელმწიფოები, რომლებიც პროევროპულ, პროდასავლურ გზას დაადგებიან, ჩვენი მუდმივი მხარდაჭერით ისარგებლებენ“* – პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო (Ministerstwo Spraw Zagranicznych, 2019).

2019 წლიდან დღემდე მსოფლიოში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა: გარდაიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, გადაკეთდა უსაფრთხოების გლობალური არქიტექტურა, გადაიხედა ცივი ომის შემდგომი მიდგომები, შეიცვალა თავად პოლონეთიც. სხვა მიზეზებთან ერთად, ამ ყველაფრის მოტივი რუსეთის აგრესიული ქმედებებია.

მას შემდეგ, რაც 2022 წლის 24 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა მსოფლიოს „სპეციალური ოპერაციის“ დაწყების შესახებ ამცნო, ვარშავაში მომენტალურად ამოქმედდნენ. მიზანი **უკრაინის გადარჩენა**, **კიევისთვის ქმედითი სამხედრო დახმარების გაწევა** და **კრემლის ექსპანსიის შეჩერება** იყო. სწორედ ამ სამი პუნქტის დაუყოვნებლივ შესრულება გახდა ქვეყნის უმთავრესი ამოცანა. შეიცვალა არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ კოლექტიური დასავლეთის „აღმოსავლური პოლიტიკა“.

ომის მიმდინარეობისას პროგნოზის გაკეთება არასწორია, მაგრამ დღეს, როდესაც ეს სტატია იწერება, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ **მოკლე და საშუალო** პერსპექტივაში ვარშავამ დასახულ მიზნებს მიაღწია.

1. **უკრაინის გადარჩენა** – პოლონეთმა 7,937 მილიონი უკრაინელი ლტოლვილი[1] მიიღო (Straż Graniczna, 2022); 2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ლტოლვილთა ჰუმანიტარული მხარდაჭერისთვის პოლონეთის მთავრობამ 5,5 მილიარდი PLN[2] დახარჯა (საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, კვება, სამედიცინო

დახმარება, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, ტრანსპორტი), ხოლო ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა – 8 მილიარდი PLN[3] (Kacprzak, 2022); მიუხედავად უკრაინული ფულის ერთეულის კატასტროფული გაუფასურებისა, პოლონეთის ეროვნულმა ბანკმა მაინც ომამდელი კურსით გააგრძელა გრივნის შეძენა და მისი ფინანსური სტაბილურობისთვის 4 მილიარდი PLN[4] გამოყო (Narodowy Bank Polski, 2022); ყველაზე მოკრძალებული მონაცემებით, პოლონეთის რიგითმა მოქალაქეებმა 10 მილიარდ PLN-ზე[5] მეტი დახარჯეს ომს გამოქცეული უკრაინელების დასახმარებლად (Cieślak-Wróblewska, 2022); მთლიანად გადაეწყო პოლონეთის საგარეო პოლიტიკა და ევროკავშირის, ნატოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმების გამოყენებით უკრაინის ლობირება გახდა უმთავრესი პრიორიტეტი. ამ ყველაფერმა უკრაინელებს ამოსუნთქვისა და ბრძოლის გაგრძელების საშუალება მისცა.

2. **კიევისთვის ქმედითი სამხედრო დახმარების გაწევა –** ომის დაწყების დღიდან Kiel Institute for the World Economy-მ პროექტი *Ukraine Support Tracker* (UST) დაიწყო. UST ითვლის და აანალიზებს იმ სამხედრო, ფინანსურ თუ ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელიც 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინამ მიიღო მოკავშირეებისგან. მონაცემთა ბაზა მოიცავს 40 ქვეყანას: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადას, ავსტრალიას, სამხრეთ კორეას, ნორვეგიას, ახალ ზელანდიას, ტაივანს და ა.შ. Kiel Institute for the World Economy-ის 2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით, პოლონეთი UST ცხრილის მესამე ადგილზეა (Kiel Institute for the World Economy, 2022). ოფიციალურმა ვარშავამ კიევს 8,585 მილიარდი PLN-ის[6] ღირებულების სამხედრო დახმარება გაუწია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს Krab-ის თვითმავალი ჰაუბიცები, Piorun[7], GROT კარაბინები და RGP-40 ყუმბარმტყორცნები. არანკლებ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა საიდუმლო და სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდების სფეროში. ამ თვალსაზრისითაც, პოლონეთი უკრაინის აქტიური კონტრიბუტორია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად.

3. **კრემლის ექსპანსიის შეჩერება პოლონეთის** „აღმოსავლური პოლიტიკის“ მთავარი ამოცანაა, რისი რეალიზაციის აუცილებლობაც საგრძნობლად დააჩქარა ვლადიმერ პუტინის ნეოიმპერიალისტურმა ქმედებებმა. დღეს ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიამ გეომეტრიულად გაზარდა პოლონეთის პოლიტიკური წონა და საერთაშორისო ავტორიტეტი. თუკი უწინ ოფიციალური ვარშავის მოწოდებებს რუსეთთან მიმართებით პრინციპული პოზიციის დაკავების შესახებ არაერთი დასავლური სახელმწიფო აღიქვამდა პარანოიად, დღეს ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. პოლონეთის არგუმენტები გამართლდა. თავისი მზარდი ეკონომიკური, სამხედრო პოტენციალისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის წყალობით, ამ აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოს როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ცალკეული რეგიონული პლატფორმების ეფექტური გამოყენებით („სა-

მი ზღვის ინიციატივა“[8], „ვიშეგრადის ოთხეული“[9], „ბუქარესტის ცხრიანი“[10], „ლუბლინის სამკუთხედი”[11]) ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავებითა და რუსული იმპერიალიზმისადმი ანტაგონისტურად განწყობილი საზოგადოების წყალობით, პოლონეთი წარმატებით ახერხებს კრემლის გავლენის შეზღუდვა-შემცირებას ცენტრალურ თუ აღმოსავლეთ ევროპაში. ამის კონკრეტული დასტური პოლონეთის, სლოვაკეთის, ჩეხეთის, ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის, რუმინეთისა და შვედეთის საერთო პოზიციაა რუსეთთან დაკავშირებულ ლამის ყველა საკითხთან მიმართებით. პოლონური დიპლომატიის როლის ზრდასთან ერთად უფრო წონადი გახდა ოფიციალური ვარშავის ხმაც. შესაბამისად, მოწოდება „მეტი სანქცია რუსეთს!“ დასავლეთში სულ უფრო ნაკლებად აღიქმება პოლონელთა „რუსოფობიად“ ან „აღმოსავლეთევროპულ პარანოიად“. სხვათა შორის, მიუხედავად ღრმა შიდაპოლიტიკური პოლარიზაციისა, პოლონეთის სენატი ერთ-ერთი პირველი იყო ევროპაში, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მხარი რუსეთის ტერორისტულ რეჟიმად ცნობას (Kostrzewa, 2022).

გარდა დიპლომატიური საშუალებებისა, პოლონეთი აქტიურად ცდილობს მოსკოვის ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის შემცირება-ნიეტრალიზაციას. მხოლოდ 2022 წლის თებერვალი-ნოემბრის მონაკვეთში პოლონეთის უსაფრთხოების ბიურომ (ABW) რუსეთის/ბელარუსის სასარგებლოდ მომუშავე 100-მდე ჯაშუში დააკავა (Agencja Bezpieczeństwa Wewnętrznego, 2022); ABW-ის დასკვნის საფუძველზე, ენერგიისა და განვითარების სამინისტრომ იძულებითი მმართველობა დაამყარა PAO Gazprom-ში და სრულად გადასცა მისი აქტივები EuRoPol Gaz-ს (Stec, 2022); 200-მდე მოქალაქე და კომპანია შეიყვანა სანქცირებულთა სიაში (Minister Spraw Wewnętrznych i Administracji, 2022); ახალი არხი Kanał przez Mierzeję Wiślaną გახსნა, რომელიც ვისლის ლაგუნას გდანსკის ყურესთან დააკავშირებს, რისი წყალობით გემებს რუსეთის გვერდის ავლით შეეძლებათ ელბლონგის პორტში შესვლა (Wierzbicka, 2022); მშპ-ის 3%-მდე გაზარდა თავდაცვის ბიუჯეტი – 97,445 მილიარდ PLN-მდე[12] (Sejm, 2022); ხელი მოაწერა $5,8-მილიარდიან კონტრაქტს სამხრეთ კორეასთან, რომლის ფარგლებშიც F-50 გამანადგურებლებს, K2 ტანკებსა და K9 თვითმავალ ჰაუბიცებს მიიღებს; 2023 წლიდან კი 1 კუბურ მეტრ გაზსაც კი აღარ შეიძენს რუსეთიდან, რაც მოსკოვისგან სრულ ენერგოდამოუკიდებლობას ნიშნავს.

ხანგრძლივი პერსპექტივა

უკრაინაში რუსეთის აგრესიამ პოლონეთის „აღმოსავლური პოლიტიკა“ მნიშვნელოვნად შეცვალა, უფრო სწორად, გარკვეული თვალსაზრისით დააჩქარა და ის, რაც შორეულ პერსპექტივად მოჩანდა და გადაუდებელი მოქმედების მომთხოვნ აუცილებლობად აქცია.

ახლო და საშუალო პერსპექტივებში მიღწეული მიზნები მაინც არ იძლევა სამომავლო წარმატების გარანტიას, მით უმეტეს, დინამიკურად ცვალებად თანამედროვე მსოფლიოში. ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ უკრაინის, მოლდოვისა და **საქართველოს** მიერ გაკეთებულმა განაცხადებმა და ომის შედეგად

ფორმირებულმა ახალმა გეოპოლიტიკურმა კონტექსტმა პოლონეთის „აღმოსავლურ პოლიტიკაში“ ახალი ინიციატივის გაჟღერების აუცილებლობა გააჩინა. **ვარშავაში კარგად ესმით, რომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის შეთავაზება დღეს საკმარისი აღარ არის, რადგან მას ნაკლებად აქვს პრაქტიკული ღირებულება (რასაც დასავლეთ ბალკანეთის გამოცდილება აჩვენებს). დიახ, ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც სიმბოლური ჟესტია, რომელიც სწრაფი იმედგაცრუებით შეიძლება დასრულდეს (დავაკვირდეთ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკას, რომელიც დე ფაქტო გაყინულ მდგომარეობაშია). სულ უფრო მეტი პოლონელი ექსპერტი ლაპარაკობს იმაზე, რომ პოლონეთმა უნდა მიიღოს ინიციატივა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობას გასცდება. ამ მექანიზმმა ხომ თავისი ფუნქცია უკვე ამოწურა და აღარც „აღმოსავლური პოლიტიკის“ მთავარი ინსტრუმენტია. უკრაინისთვის, მოლდოვისა და საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების დაპირება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. თავის მხრივ, ინტეგრაციის გზა დაბრკოლებებითაა სავსე – სამართლებრივით, პოლიტიკურითა და ეკონომიკურით. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი იქნება კონკრეტული შეთავაზებების შემუშავება და ხელჩასაჭიდი შუალედური „ჯილდოების“ მომზადება. ევროკავშირთან ასოცირებულმა ქვეყნებმა (უკრაინა, საქართველო, მოლდოვა) უნდა მიიღონ ევროპის ეკონომიკურ სივრცეში (EEA) გაწევრიანების პერსპექტივა ამ ათწლეულის განმავლობაში, პარტნიორობა ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკაში, სტრუქტურული თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში და ძლიერი ეკონომიკური მხარდაჭერა. და რაც მთავარია, ეს მიზანი არანაირად არ შეიძლება იყოს სრული წევრობის ალტერნატივა**.

გაზრდილი პოლიტიკური წონის მქონე პოლონეთს ნამდვილად აქვს რესურსი იყოს ისეთი ამბიციური გეგმის ინიციატორი, რომელიც აღნიშნულ ქვეყნებს ევროკავშირთან ძალიან მტკიცე კავშირის რეალისტურ, გაზომვად პერსპექტივას მისცემს და ამავდროულად, სრულუფლებიანი წევრობის შესაძლებლობას გაუჩენს. პოლონეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ინტეგრაციის ახალი გზამკვლევი უნდა გაერთიანდეს ომის შემდგომი დახმარების გეგმასთან და უკრაინის განვითარების საჭიროებებთან: თავდაცვისუნარიანობის გაზრდა, ეკონომიკის განვითარება, ოფიციალური კიევისთვის საერთაშორისო საკრედიტო ვალდებულებების ჩამოწერა, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ა. შ. (Bendyk and Buras, 3-5, 2022).

უახლოეს მომავალში პოლონეთი გახდება ქვეყანა, სადაც საკმაოდ მწვავედ შევიგრძნობთ უკრაინის ომის გრძელვადიან შედეგებს. ეს ეხება უსაფრთხოებას, მიგრაციას, ენერგეტიკული ტრანსფორმაციის გამოწვევებს. მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყველაფერი მეტად დააახლოებს ვარშავას ბრიუსელთან, რადგან იგი კიდევ უფრო მეტად იქნება დაინტერესებული ევროკავშირის ფარგლებში სოლიდარობის გაზრდით.

საქართველოს საკითხი

არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, პოლონეთის „აღმოსავლური პოლიტიკის“ პრიორიტეტი უკრაინის მხარდაჭერაა. თავისი გეოგრაფიული მდგომარეობისა და პრეზიდენტ მაია სანდუს პროდასავლური კურსის წყალობით, ამავე განზომილებაშია მოლდოვაც, რომელსაც კიდევ ერთი აქტიური ლობისტი, ეთნიკურ-კულტურულად მონათესავე რუმინეთი ჰყავს. საქართველოს შემთხვევაში კი ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. ამ აღმოსავლეთევროპულ სახელმწიფოს არც პირდაპირი საზღვარი აქვს ევროკავშირთან და არც გავლენიანი მონათესავე ერი-სახელმწიფო ჰყავს მეზობლად. შესაბამისად, თბილისი მთელ ფსონს სტრატეგიულ პარტნიორებთან კავშირების გაღრმავებაზე დებს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები).

ეს ყველაფერი კარგად ესმით ვარშავაშიც. სხვათა შორის, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, თითქმის მსგავსი ისტორიისა და რუსული იმპერიალიზმის უმძიმესი გაკვეთილების საკუთარ თავზე გამოცდის გამო, ქართველებსა და პოლონელებს ერთმანეთთან ისედაც აკავშირებთ განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია პოლონეთის მეორე რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური თანამშრომლობაც. ეს ყველაფერი საკმაოდ ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ოფიციალურ ვარშავას პოზიტიურად იყოს წარმოდგენილი საქართველოში, რასაც წარმატებით ართმევს თავს. თავის მხრივ, საქართველოც საინტერესო ხდება პოლონელებისთვის, რაზეც საქართველოში ჩამოსული პოლონელი ტურისტების მზარდი რაოდენობა, ქართული რესტორნების რიცხვი პოლონეთში, ღვინის ექსპორტი და აქტიური ბიზნესთანამშრომლობა მეტყველებს.

„აღმოსავლური პოლიტიკის“ საქართველოს მიმართულება პოლიტიკური მხარდაჭერის გაზრდაზეა ორიენტირებული. ამის დასტურია მაღალი რანგის პოლონელი პოლიტიკოსების ვიზიტები საქართველოში. 2021-2022 წლებში საქართველოს ორჯერ ეწვია პრეზიდენტი ანდჟეი დუდა, ხოლო თითო-თითოჯერ – პრემიერ-მინისტრი მატეუშ მორავიეცკი და საგარეო საქმეთა მინისტრი ზბიგნიევ რაუ. რაც ყველაზე მთავარია, ამ ვიზიტებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნებს სრული თანხვედრა აქვთ საქართველოს გაცხადებულ პრიორიტეტებთან:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება;
- საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერა;
- საქართველოს საერთაშორისო როლის გაზრდა, რეგიონული და კონტინენტური მნიშვნელობის ეკონომიკურ პროექტებში ჩართვით (მათ შორის, რუსეთის გვერდის ავლით პარტნიორებთან ერთად ახალი ენერგოდერეფნების შექმნა);
- რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა;
- საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ცენტრის კვალიფიკაციის ამაღლება და შესაძლებლობების გაზრდა;

- საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესება;
- საქართველოს სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა (Ministerstwo Spraw Zagranicznych, 2017).

სწორედ ამ ნაყოფიერი თანამშრომლობისა და პოლონეთის გაზრდილი როლის საპასუხოდ გააქტიურდნენ პრორუსული ორგანიზაციები საქართველოში. 2022 წლის თებერვალი-ნოემბრის პერიოდში 25-ზე მეტი დეზინფორმაციული ნარატივი გაავრცელეს ანტიდასავლურმა ძალებმა პოლონეთის ისტორიისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ასეთი ოპერაციების მიზანი ადგილობრივ საზოგადოებაში ობიექტი სახელმწიფოსადმი ნეგატიური დამოკიდებულების გაზრდაა (Julukhidze, 2022).

საქართველო პოლონეთისთვის მნიშვნელოვანია. ამაზე თუნდაც შემდეგი განცხადებები მეტყველებს: *„საჭიროა აქტიური მოქმედება საქართველოს ხესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების კუთხით. თბილისის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერა“* (Strategia Bezpieczeństwa Narodowego Rzeczypospolitej Polskiej, 2020, 25).

„პოლონეთისთვის საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის ხეგიონის გრძელვადიანი სტაბილურობისა და ეკონომიკურ-სოციალური განვითარების გარანტიაა“ (Czaputowicz, 2019).

ამ ახალ რეალობაში ევროკავშირთან საქართველოს დაახლოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პოლონეთისთვის. ერთი მხრივ, ეს შეამცირებს რუსულ გავლენებს მოსკოვისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამხრეთ კავკასიაში, მეორე მხრივ, შექმნის წარმატების პრეცედენტს ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, სადაც ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ დემოკრატიის (და ზოგადად დასავლეთის) დეფიციტი შესამჩნევადაა გაზრდილი (Hedlund, 2021).

კიდევ უფრო ყოვლისმომცველი გახდა ნატოში ინტეგრაციის გზაზე თბილისის მიმართ ვარშავის მხარდაჭერა. პოლონეთის პრეზიდენტმა და პრემიერმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ამ ცვალებად და რთულ გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველოს ადგილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშია. მაგრამ მთავარი საკითხი და გამოწვევა ის არის, თუ რამდენად მოახერხებს საქართველო ამ გეოპოლიტიკური ცვლადების ერთობლიობის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებას. დიახ, ეს ყველაფერი პოლონეთის ეროვნულ ინტერესებშია, მაგრამ გაცილებით უფრო მაღალი ფსონები საქართველოსთვისაა, რადგან წარუმატებლობამ, შესაძლოა, არა მხოლოდ ევროატლანტიკური ინტეგრაციის საფრთხეები, არამედ საბაზისო პერსპექტივები გააქროს.

რთულია იმის განსაზღვრა, რა შეიცვლება მომავალში და საითკენ წარიმართება აღმოსავლეთ ევროპის ბედი, მაგრამ ორი რამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: რუსეთი ომით გამოწვეული სირთულეების გამო კიდევ უფრო დასუსტდება, ხოლო ქართულ-პოლონური ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. ერთიც და მეორეც უკეთესი მომავლის პერსპექტივებს აჩენს.

შენიშვნები

1. პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამჟამად 1,1 მილიონი უკრაინელი ლტოლვილი იმყოფება.
2. 1,06 მილიარდი ევრო.
3. 1,69 მილიარდი ევრო.
4. 0,85 მილიარდი ევრო.
5. 2,12 მილიარდი ევრო.
6. 1,823 მილიარდი ევრო.
7. საჰაერო თავდაცვის სისტემა, რომელიც თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და უპილოტო საფრენი აპარატების განადგურებისთვისაა შექმნილი.
8. სამი ზღვის ინიციატივა მოიცავს ევროპის კავშირის წევრ 12 დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომლებიც ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვებს შორის მდებარეობენ. მისი მიზანია ახალი ინფრასტუქტურული ინიციატივების წახალისება და ამით ჩრდილოეთს და სამხრეთს შორის კავშირების დაწინაურება, ეკონომიკური ზრდა და ენერგოუსაფრთხოება, რაც თავის მხრივ ისეთ ავტორიტარული რეჟიმებს შეუქმნის დაბრკოლებას, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი.
9. ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის (ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლონეთი) კავშირი.
10. ორგანიზაცია, რომელიც 2015 წლის 4 ნოემბერს დაარსდა ბუქარესტში, რუმინეთის პრეზიდენტის კლაუს იოჰანისისა და პოლონეთის პრეზიდენტის ანდჟეი დუდას ინიციატივით. მისი წევრები არიან ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი.
11. სამი ევროპული ქვეყნის – ლიეტუვის, პოლონეთისა და უკრაინის რეგიონალური ალიანსი, რომელიც მიზნად ისახავს ორმხრივი სამხედრო, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერებას და უკრაინის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას.
12. 20,726 მილიარდი ევრო.

ბიბლიოგრაფია:

- Agencja Bezpieczeństwa Wewnętrznego. 2022. https://www.abw.gov.pl/pl/informacje/1824,ABW-zatrzymala-mezczyzne-podejrzanego-o-szpiegostwo.html. Accessed 22 November, 2022.
- Bendyk Edwin and Piotr Buras. 2022. *Polska wobec wojny, Polska w świecie po wojnie Zadania na nowy czas.* Fundacja im. Stefana Batorego. 23 November, 2022.
- Cieślak-Wróblewska, Anna. 2022. Polacy wydali 10 miliardów złotych na pomoc dla uchodźców z Ukrainy. *Rzeczpospolita*. https://www.rp.pl/gospodarka/art36764701-polacy-wydali-10-miliardow-zlotych-na-pomoc-dla-uchodzcow-z-ukrainy. Accessed 22 November, 2022.
- Czaputowicz, Jacek. 2019. Minister Jacek Czaputowicz o Priorytetach Polskiej Dyplomacji w 2019 Roku. MSZ. www.gov.pl/web/dyplomacja/minister-jacekczaputowicz-o-priorytetach-polskiej-dyplomacji-w-2019-rokuwww.gov.pl/web/dyplomacja/minister-jacek-czaputowicz-o-priorytetach-polskiej-dyplomacji-w-2019- roku. Accessed 23 November, 2022.

- Hedlund, Stefan. 2021. Winners and Losers from the Karabakh War. Geopolitical Intelligence Services AG. https://www.gisreportsonline.com/r/nagorno-karabakh-caucasus/ Accessed November 29, 2022.
- Julukhidze, Grigo. 2022. Jak Rosja próbuje zdyskredytować Polskę w Gruzji?. Fundacja Centrum Badań nad Współczesnym Środowiskiem Bezpieczeństwa. https://infowarfare.pl/2022/08/01/jak-rosja-probuje-zdyskredytowac-polske-w-gruzji/ Accessed 29 November, 2022.
- Kacprzak, Izabela. 2022. Polska wydała na pomoc uchodźcom z Ukrainy 5,5 mld zł. *Rzeczpospolita*. https://www.rp.pl/polityka/art37286771-polska-wydala-na-pomoc-uchodzcom-z-ukrainy-5-5-mld-zl. Accessed 21 November, 2022.
- Kiel Institute for the World Economy. 2022. Ukraine Support Tracker. https://www.ifw-kiel.de/topics/war-against-ukraine/ukraine-support-tracker/. Accessed 23 November, 2022.
- Kostrzewa, Karol. 2022. Senat uznał Rosję za reżim terrorystyczny. A kiedy zrobią to Niemcy czy Francja? Wawrzyk komentuje. *Gazeta Prawna*. https://www.gazetaprawna.pl/wiadomosci/kraj/artykuly/8576780,rosja-rezim-terrorystyczny-niemcy-francja.html. Accessed 21 November, 2022.
- Ministerstwo Spraw Zagraniczny. 2017. Strategia Polskiej Polityki Zagranicznej. file:///C:/Users/abgde/Downloads/Strategia_Polskiej_Polityki_Zagranicznej_2017-2021.pdf. Accessed 29 November, 2022.
- Ministerstwo Spraw Zagranicznych. 2019. Polityka Wschodnia. www.gov.pl/web/ dyplomacja/polityka-wschodia www.gov.pl/web/dyplomacja/polityka-wschodia Accessed 21 November, 2022.
- Ministerstwo Spraw Wewnętrznych i Administracji. 2022. https://www.gov.pl/web/mswia/lista-osob-i-podmiotow-objetych-sankcjami. Accessed 23 November, 2022.
- Narodowy Bank Polski. 2022. https://twitter.com/nbppl/status/1496867373311213574?ref_src=twsrc%5Etfw%7Ctwcamp%5Etweetembed%7Ctwterm%5E1496867373311213574%7Ctwgr%5E6082e2b1f5a42808c4aa6e9245087820463d4443%7Ctwcon%5Es1_&ref_url=https%3A%2F%2Ftvn24.pl%2Fbiznes%2Fz-kraju%2Frosja-ukraina-nbp-decyzja-o-udzieleniu-bankowi-centralnego-ukrainy-swapa-walutowego-5612326. Accessed 22 November, 2022.
- Sejm. 2022. Ustawa z dnia 11 marca 2022 r. o obronie Ojczyzny. https://isap.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WDU20220000655. Accessed 23 November, 2022.
- Stec, Andrzej. 2022. Rząd na wniosek ABW przejmuje aktywa Gazpromu w Polsce. Chodzi o EuRoPol Gaz. *Rzeczpospolita*. https://energia.rp.pl/gaz/art37408141-rzad-na-wniosek-abw-przejmuje-aktywa-gazpromu-w-polsce-chodzi-o-europol-gaz. Accessed November 24, 2022.
- Strategia Bezpieczeństwa Narodowego Rzeczypospolitej Polskiej. 2020. www.bbn.gov.pl/ftp/dokumenty/Strategia_Bezpieczenstwa_Narodowego_RP_2020.pdfwww. bbn.gov.pl/ftp/dokumenty/Strategia_Bezpieczenstwa_Narodowego_RP_2020.pdf. Accessed 23 November, 2022.
- Straż Graniczna. 2022. Accessed 22 November, 2022. https://twitter.com/Straz_Graniczna/status/1595672978162958336?s=20&t=B8PA7pT7YOMs_1tzZVZqxw. Accessed 21 November, 2022.
- Wierzbicka, Regina. 2022. Polska otwiera nowy kanał Mierzei Wiślanej, aby ominąć rosyjską ingerencję. *Aktualności*. https://aktualnosci.news/polska-otwiera-nowy-kanal-mierzei-wislanej-aby-ominac-rosyjska-ingerencje-160711/. Accessed 23 November, 2022.